საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის IX საერთაშორისო კონფერენცია

ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მე-100 წლისთავს

პირველი შეტყობინება

საქართველოს მათემატიკოსთა კავშირი აწყობს IX საერთაშორისო კონფერენციას, რომელიც ჩატარდება 2018 წლის 3-7 სექტემბერს (ჩამოსვლის დღე 2 სექტემბერი) ქ. ბათუმში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კონფერენციის თემები: კონფერენცია გახლავთ მრავალთემატური და სექციების საბოლოო ჩამონათვალი დამოკიდებული იქნება მონაწილეთა განაცხადებზე.

თემატური სესიები: მონაწილეებმა, რომელთაც სურთ პარალელური თემატური სესიების ჩამოყალიბება, უნდა გამოაგზავნონ განაცხადი არაუგვიანეს **2018 წლის 30 მაისისა** შემდეგ მისამართზე: batumi.conference@yahoo.com. ახალი სესიის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა არანაკლებ 5 მომხსენებლის განცხადება მონაწილეობაზე და მათი თეზისები.

კონფერენციის ფარგლებში გათვალისწინებულია საიუბილეო სესიების ჩატარება.

კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანი

	კავშირის წევრები	სხვა მონაწილეები
სრული მონაწილეობა	75 ლარი (30 USD)	100 ლარი (40 USD)
ახალგაზრდა მკვლევრები (30 წლამდე)	50 ლარი (20 USD)	50 ლარი (20 USD)
მაგისტრანტები და დოქტორანტები	35 ლარი (15 USD)	35 ლარი (15 USD)
დაუსწრებელი მონაწილეობა (მოხსენებათა თეზისების პუბლიკაცია კონფერენციის შრომათა კრებულში) ან დამატებითი (მეორე, მესამე) თეზისის გამოქვეყნება	20 ლარი	

კონფერენციის ყველა მონაწილე, ორგანიზატორებისა და პლენარული მომხსენებლების ჩათვლით, იხდის კონფერენციის სარეგისტრაციო შესატანს.

რეგისტრაცია და თეზისის წარდგენა: ეწვიეთ კონფერენციის ვებ-გვერდს www.gmu.ge/Batumi2018, გაიარეთ რეგისტრაცია და ატვირთეთ თეზისის LaTex და Pdf ვერსიები **2018 წლის 30 ივნისამდე.** თეზისი LaTex ფორმატში უნდა მომზადდეს შაბლონის მიხედვით და მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს **ერთ გვერდს**. დაბეჯითებით გთხოვთ, დაიცვათ შაბლონის ფაილში მითითებული წესები. მიბმული ფაილით **გიგზავნით თეზისის შაბლონს. შაბლონების ჩამოტვირთვას შეძლებთ კონფერენციის ვებ-გვერდიდანაც.**

თეზისი შეიძლება მოამზადოთ ვორდის ფორმატში ორი პირობის დაცვით: ა) თეზისი არ უნდა შეიცავდეს ფორმულებს; ბ) დაცული უნდა იყოს გამოგზავნილი ფორმატი.

ინფორმაცია სასტუმროების შესახებ შეგიძლიათ მოიძიოთ შემდეგ მისამართებზე: http://www.booking.com/ და https://www.airbnb.com/. საორგანიზაციო კომიტეტი დაჯავშნის და მოგვიანებით შემოგთავაზებთ ბინებს ბათუმში და სასტუმროს გონიოში (ბათუმის გარეუბანი). ინფორმაციას სხვა სასტუმროებთან დაკავშირებით მოგაწვდით მეორე შეტყობინებაში და ავტვირთავთ კონფერენციის ვებ-გვერდზე.

მნიშვნელოვანი თარიღები

30 მაისი, 2018 - სექციების ჩამოყალიბებაზე განაცხადის მიღების საბოლოო ვადა

30 ივნისი, 2018 - თეზისის წარდგენის საბოლოო ვადა

20 ივლისი, 2018 - მონაწილეთა რეგისტაციის საბოლოო ვადა *(კონფერენციაში მონაწილეობის შესატანის და დაჯავშნილი სასტუმროს თანხის გადახდა)*.

3 სექტემბერი, 2018 - კონფერენციის გახსნა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

5 სექტემბერი, 2018 - ექსკურსიების/დასვენების დღე

7 სექტემბერი, 2018 - კონფერენციის დახურვა.

საორგანიზაციო კომიტეტის სახელით,
თავმჯდომარე, პროფესორი
როლანდ დუდუჩავა